



8038-17-2-201907161803



N 17/8038

16/07/2019

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს  
ბატონ მიხეილ ბატიაშვილს

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსს  
ბატონ დიმიტრი ბერიძეს

### წინადადება

#### ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე

*(გვეზღვევით „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული  
კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად)*

პირველ რიგში გვსურს გამოვხატოთ მადლიერება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართ სახალხო დამცველის აპარატის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მე-7 კლასის სახელმძღვანელოების მაკეტის (მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნები, მასწავლებლისა და მოსწავლის რვეულები) რეცენზირების პროცესში ჩართვისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის. ხსენებულ პროცესში რეცენზენტებად სახალხო დამცველის აპარატის მიერ ნომინირებული იყვნენ რიგი თემატური მიმართულებების (ტოლერანტობა, რელიგიური საკითხები, გენდერული თანასწორობა, შშმ პირთა უფლებები და ინკლუზიური განათლება და ა.შ.) დამოუკიდებელი ექსპერტები და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც ჩართული არიან აპარატის სამუშაო ჯგუფებისა თუ ექსპერტთა საბჭოების საქმიანობებში და მათთან თანამშრომლობის წარმატებული გამოცდილება გვაქვს.

სახალხო დამცველის აპარატის ადამიანის უფლებათა სწავლების დეპარტამენტი მონიტორინგს უწევდა აღნიშნულ რეცენზენტთა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაოს პროცესს, რაც არ გულისხმობდა ზედამხედველობას და შესაბამისად, რეცენზენტებს ჰქონდათ ავტონომია სამუშაოს შესრულების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატს პირველად მიეცა შესაძლებლობა ოფიციალურად ყოფილიყო ჩართული რეცენზირების პროცესში მის მიერ ნომინირებული ექსპერტების საშუალებით. ამ თანამშრომლობის შედეგად, კორექტირებულ იქნა სასწავლო მასალა და გაიცა

რეკომენდაციები კონკრეტულ საკითხთა ფორმულირების შესახებ, რაც მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმძღვანელოებში ადამიანის უფლებათა საკითხების ასახვას და წიგნების შესაბამისობას ადამიანის უფლებათა სწავლების კუთხით არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან.

ჩვენთვის სასიხარულოა ის ფაქტი, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ წარდგენილ რეცენზენტთა რეკომენდაციებიდან მრავალი იქნა გათვალისწინებულ კომისიისა თუ წიგნების ავტორების მიერ და თანამშრომლობა ნაყოფიერი აღმოჩნდა. თუმცა, რეცენზენტებთან სამუშაო პროცესის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით გამართულ შეხვედრაზე გამოვლინდა რიგი პრობლემური საკითხებისა, რომელთა გადაჭრაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეცენზირების შემდგომი სამუშაოების ეფექტურ წარმართვას. რეცენზირების **შინაარსთან, სამუშაო პროცესთან და ტექნიკურ** გამართულობასთან დაკავშირებულ ქვემოთ მოცემულ პრობლემებს თან ახლავს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებული რეკომენდაციებიც.

რეცენზენტთა რეკომენდაციების **შინაარსთან** დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი პრობლემური საკითხები:

1. **პრობლემა:** გარკვეულ ჯგუფებში, სამუშაო გარემო იყო ნაკლებად კოლეგიალური. რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა რეცენზენტთა მიმართ დისკრიმინაციული ტერმინებით მიმართვასაც; ამასთან, რეცენზენტების (დარგის მეცნიერი, ფსიქოლოგი) მხრიდან ჟღერდებოდა ქსენოფობიური კომენტარებიც; აღნიშნულის შედეგად „სხვა ექსპერტების“ (სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი რეცენზენტები) მიერ ადამიანის უფლებების საკითხებზე გაცემული რეკომენდაციების გარკვეულ ნაწილს (განსაკუთრებით ეს ეხებოდა დისკრიმინაციის თემას, გენდერულად სენსიტიური საკითხების გათვალისწინებას, ეთნიკური/ეროვნული უმცირესობების მოხსენიებას საზოგადო და ისტორიულ მოღვაწეთა შორის, შშმ პირთა საკითხებსა და ინკლუზიური განათლების სპეციფიკური თემების ასახვას და სხვა.) რეცენზენტთა კომისიამ მხარი არ დაუჭირა, რადგან არ მიიჩნიეს აქტუალურად და საჭიროდ; ხოლო დანარჩენი რეკომენდაციების შემთხვევაში მათ ავტორებს დასჭირდათ დიდი ძალისხმევა, რომ ამ რეკომენდაციების მნიშვნელობა დაესაბუთებინათ კომისიის წევრებისთვის.

მაგალითისთვის ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები, რომელთა ასახვაც არ მოხდა კომისიის წევრების (საგნობრივი სპეციალისტებისა და ფსიქოლოგის), ასევე ავტორების მიერ, ან მათი გათვალისწინებისთვის ადამიანის უფლებათა ექსპერტები აწყდებოდნენ **წინააღმდეგობას** კომისიის წევრების მხრიდან:

ა) კონკრეტული სახელმძღვანელოს მასწავლებლის წიგნის შესავალში, სადაც პირველი გაკვეთილისთვის მზადებაზე იყო საუბარი, რეცენზენტის რეკომენდაციით მასწავლებელს უნდა მოეკითხა, თუ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, მათ შორის შშმ მოსწავლეები კონკრეტულ კლასში, რაც აუცილებელი წინაპირობაა იმისთვის, რომ პედაგოგი მზად იყოს განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან სამუშაოდ და წინასწარ იყოს ინფორმირებული რა საკითხები უნდა გაითვალისწინოს გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების

პროცესში. ამ რეკომენდაციის ირგვლივ დისკრიმინაციული შინაარსის კონტრ-არგუმენტები იქნა მოყვანილი კომისიის წევრების მხრიდან და არ აისახა სისტემაში;

ბ) რეკომენდაცია, რომელიც კონკრეტულმა კომისიამ ნაწილობრივად გაიზიარა ეხებოდა სახელმძღვანელოში სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფთა ინტერესების ასახვას და მათ წარმომადგენლობითობას. აქ საუბარი არ იყო მხოლოდ შშმ პირებზე, არამედ, მაგალითად განსხვავებულ რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებზე. აღნიშნულ რეკომენდაციას მხოლოდ შშმ პირთა კონტექსტში დაეთანხმა რეცენზენტთა კომისია. რეკომენდაცია ამბობდა, რომ მათემატიკის სახელმძღვანელოში, მაგალითებში, ამოცანებში, პროექტებში, ილუსტრაციებში, ნახსენები ყოფილიყვნენ ზემოთხსენებული კატეგორიის ადამიანები. სახელმძღვანელოს ავტორმა ეს რეკომენდაცია შეასრულა ფორმალისტურად. 300 გვერდიან მოსწავლის წიგნში დაამატა მხოლოდ ერთი პროექტი პარაოლიმპიურ თამაშებში შშმ პირთა მონაწილეობის შესახებ;

გ) ბიოლოგიის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით რეცენზენტის რეკომენდაციას - ასახულიყო მენსტრუალურ ციკლთან დაკავშირებული საკითხები, კომისიის წევრებმა არ დაუჭირეს მხარი და შესაბამისად, ეს საკითხი არ მოხვდა სახელმძღვანელოში;

დ) რეკომენდაცია ქალთა და მამაკაცთა თანაბარი წარმომადგენლობის შესახებ სახელმძღვანელოში ზოგიერთ შემთხვევაში აწყდებოდა წინააღმდეგობას; რეკომენდაციები გულისხმობდა სახელმძღვანელოებში იმგვარი ტექსტებისა და მაგალითების მოყვანას, რომლებშიც საუბარი იქნებოდა ცნობილ ქალებზე, როგორც რეალურ გმირებზე, პროტოტიპებზე და პერსონაჟებზე;

ე) რეკომენდაცია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამა თუ იმ სფეროს მოღვაწეების ასახვის შესახებ სახელმძღვანელოს ტექსტებსა და ილუსტრაციებში რიგ შემთხვევებში არ იქნა გათვალისწინებული ავტორთა მიერ; ამასთან, ზოგიერთი სახელმძღვანელოს ტექსტებში მოცემული იყო სტერეოტიპული ფრაზები, რომლებიც მიუხედავად ავტორთა შემოქმედებითი თავისუფლებისა, სასურველია სასწავლო მასალაში არ მოხვდეს; მაგალითად ერთ-ერთ წიგნში მოცემული იყო მურმან ლებანიძის ლექსი, რომელიც ავტორების აზრით, ალბათ პოზიტიურად ასახავდა საქართველოს ეთნიკურ მრავალფეროვნებას. თუმცა ეს ლექსი სტერეოტიპული აღწერებით იყო გაჯერებული. ლექსში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები თითქოს იუმორით, მაგრამ, სინამდვილეში, მათდამი დამაკნინებელი მიმართებით არიან წარმოდგენილი, მაგალითად: ებრაელი ვაჭარი, სომეხი მეწაღე, ქურთი მეეზოვე. თავისთავად, მხატვრულ ტექსტებში კონკრეტულ ფუნქციებსა და საქმიანობასთან ეთნიკური ნიშნის მიწერა პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ნებისმიერი მხატვრული ტექსტი აღიქმება და გაიგება კონტექსტთან მიმართებით. ამასთან, სასწავლო მასალებში მსგავსი ტექსტების ტირაჟირება ხელს უწყობს მოსწავლეებში სტერეოტიპული წარმოდგენების გამყარებას. აღნიშნული და სხვა მსგავსი შენიშვნების სისტემაში ასახვაზე რეცენზენტებს წინააღმდეგობა შეხვდათ კომისიის წევრების მხრიდან და შესაბამისად, მათი გათვალისწინება ვერ მოხდა ავტორების მიერ.

ვ) არ იქნა გათვალისწინებული რეცენზენტის რეკომენდაცია ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოში სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით. რეცენზენტის

რეკომენდაცია იყო ავტორს მოეხსენიებინა რომ სულხან-საბა რელიგიური მრწამსით კათოლიკე იყო. კვალის წაშლის საკითხი გამოვლინდა სხვა სახელმძღვანელოებთან მიმართებაშიც - განსხვავებული აღმსარებლობის და ეროვნების მოღვაწეები ან საერთოდ არაა სახელმძღვანელოებში ნახსენები, ან იმ ფორმითაა, რომ არ ჩანს მათი რელიგიური, ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილება. ობიექტური ასახვა კი მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მრავალფეროვნების დაფასებას და სტერეოტიპების რღვევას საზოგადოებაში;

ზ) სახელმძღვანელოში მხოლოდ ეთნიკური ქართველებისთვის დამახასიათებელი სახელებია მოხსენიებული მაგალითებსა თუ ამოცანებში; რეცენზენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით სახელმძღვანელოებში მოცემულ მაგალითებსა და სავარჯიშოებში (ძირითადად იგულისხმება მათემატიკისა და სხვა ზუსტი მეცნიერებების სახელმძღვანელოები) საერთოდ არ გვხვდება საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის დამახასიათებელი სახელები;

თ) ეთნიკური მრავალფეროვნების ასახვის საკითხებთან ერთად ასევე განსაკუთრებული წინააღმდეგობა შეინიშნებოდა არასეკულარული აღწერების ჩანაცვლებას რელიგიურად ნეიტრალური ტექსტებით. კომისიის წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა ამგვარ შეფასებებს - „თქვენს გამო, ვკარგავთ იდენტობას“, „ზედმეტი ხომ არ მოგდით“ და ა.შ. მაგალითად:

ერთ-ერთი სახელმძღვანელოს ტექსტში მოცემული იყო ამგვარი სააზროვნო კითხვები:

1. ვინ არის ადამიანი, საიდან და რისთვის მოველინა იგი ამ ქვეყანას? რა არის ადამიანის უმთავრესი დანიშნულება? როგორ უნდა იცხოვროს მან, რომ ადამიანის დანიშნულების აღსრულება შეძლოს?
2. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ეპიზოდები და შეეცადეთ უპასუხოთ იქვე დასმულ კითხვებს: - აქ მოცემულია, **“ადამიანის შექმნა”, საკითხავი ბიბლიიდან, და ბიბლიური გადმოცემა “ვინ ქმნა თიხა ჭურჭელად” შესახებ. ამ ორი კითხვის საფუძველზე, მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ ადამიანის არსსა და დანიშნულებაზე.**

მოცემული კითხვები, მათი ფორმულირება და ნაწყვეტები არანეიტრალური და კრეაციონისტული შინაარსისაა. ბიბლიური პასაჟების გვერდით, უნდა ყოფილიყო რელიგიურად ნეიტრალური შინაარსის ტექსტიც. მაგალითად, ფილოსოფოსების, ჰუმანისტების მოსაზრებები.

ასევე, ერთ-ერთ სახელმძღვანელოში მოცემული იყო თავი - **“გზა ხსნისა”**, სადაც ფოტოზე გამოსახული იყო სამლოცველო და ჯვარი, რაც რელიგიური შინაარსის ასოციაციას იწვევდა, შესაბამისად, რელიგიურად არანეიტრალური ილუსტრაცია იყო და უნდა შეცვლილიყო.

ერთ-ერთი რეკომენდაცია ასევე ეხებოდა მოცემულ სააზროვნო კითხვას - როგორ გესმით გამოთქმა:

*“ამანთე, ქრისტიანი არა ხარ?  
სანთელივით წვა მინდა.”*

შეკითხვა რელიგიურ შინაარსზე მსჯელობას მოითხოვს და შესაბამისად, სეკულარულ სტანდარტებს სცილდება.

რეცენზენტებმა აღნიშნულ და მსგავს საკითხებზე რეკომენდაციები დიდი ძალისხმევითა და არგუმენტაციის ფასად მოახერხეს აესახათ სისტემაში. თუმცა, სადაც საჭირო იყო ფსიქოლოგების (რეცენზენტები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს ფსიქოლოგების კომპეტენციასა და მათი მხრიდან ქსენოფობიურ, დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს) თანხმობაც რეკომენდაციის ფორმულირებასთან დაკავშირებით, არ მოხერხდა მათი შეტანა ერთიანი შეფასების გრაფაში და მხოლოდ ოქმში აისახა, რაც რეკომენდაციის შესრულებას ავტორთათვის არასავალდებულოს ხდის. მაგ: ოქმში აისახა რეკომენდაცია ამოღებულიყო სიტყვათა შეთანხმება “თურქთა ნახირი”, რომლის გათვალისწინებაც არ იყო ავტორისთვის სავალდებულო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ რეცენზენტთა შერჩევის კრიტერიუმებს დაემატოს ადამიანის უფლებათა და თანასწორობის საკითხებზე საბაზისო ცოდნის მოთხოვნა ან/და ღირებულებითი საკითხები რეცენზენტობის კანდიდატურათა შესარჩევი კონკურსის მოთხოვნებსა თუ ზეპირი ინტერვიუს კითხვარში.

რეცენზირების სამუშაო პროცესთან და ლოჯისტიკასთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

#### 1. პრობლემა:

- ა) საოფისე სივრცეში სამუშაო პირობები იყო არადადამაკმაყოფილებელი - სამუშაო საათები გვიან ღამემდე გრძელდებოდა, სამუშაო ოთახიდან მცირე დროით გასვლა გულისხმობდა შესვენების გამოცხადებას, ხოლო შესვენებით სარგებლობა დიდ დისკომფორტთან იყო დაკავშირებული, რადგან რეცენზენტები იძულებულნი იყვნენ ნორმირებულ სამუშაო საათებზე ბევრად მეტი დრო დაეყოთ ოთახებში, სადაც არ მიეწოდებოდათ საკვები და წყალი.
- ბ) რეცენზენტებისთვის სამუშაო ვადები ზედმეტად მოკლე იყო, სამუშაო შესახებ კომუნიკაცია ხორციელდებოდა არასამუშაო დროს, მათ შორის უქმე დღეებშიც.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან რეცენზენტების მიერ გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში (ხელშეკრულების ასლების გადაცემა ჩვენს მიერ გამოკითხულ რეცენზენტებისთვის არ იქნა უზრუნველყოფილი დამსაქმებლის მიერ) არ არის მოცემული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობა - სამუშაოს შესრულების ვადები, სამუშაო საათები და შესვენების დრო, ასევე ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი. ხელშეკრულების გარდამავალი და დასკვნითი დებულებები მიუთითებს, რომ „საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. საქართველოს ორგანული კანონის - საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად - „დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს“ (მუხლი 14(1)); იგივე მუხლი არეგულირებს სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის საწარმოებში

მუშაობის ხანგრძლივობის საკითხს და არანორმირებულ სამუშაო საათებზე 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის სამუშაოს ასახელებს. შესაბამისად, ამ მუხლიდან გამომდინარე, რეცენზენტების მიერ დილის საათებიდან ღამის საათებში უწყვეტი მუშაობა (ნორმირებულ 8 სამუშაო საათზე მეტი) წარმოადგენს კანონის დარღვევას. ამასთან, რეცენზენტებისთვის არ მომხდარა შრომის კოდექსით გათვალისწინებული ზეგანაკვეთური ან უქმე დღეებში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, რაც ასევე წარმოადგენს შრომის კოდექსით დადგენილი ნორმის დარღვევას. გარდა ამისა, საოფისე მუშაობის პირობებში რეცენზენტები ვერ სარგებლობდნენ შრომის კოდექსით განსაზღვრული შესვენების უფლებით, რაც უფრო რთულ ვითარებაში აყენებდა მათ იმის გათვალისწინებით, რომ ოფისში საკვები და წყალი არ იყო უზრუნველყოფილი;

2. **პრობლემა:** კომისიის სხდომებზე გადაწყვეტილების მიღების წესი და რეცენზენტთა კომპეტენციის გამიჯვნასთან დაკავშირებული საკითხები რეცენზენტებისთვის არ იქნა სათანადოდ განმარტებული. მაგ: რეცენზირების წესს<sup>1</sup> ახლავს დანართი 1 – ‘საბაზო და საშუალო საფეხურების სასკოლო სახელმძღვანელოს მაკეტის რეცენზენტთა ფუნქციური დატვირთვის’ შესახებ, რომელიც მიუთითებს, რომ სახელმძღვანელოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის კუთხით აფასებენ - 1) მასწავლებელი, 2) დარგის მეცნიერი, 3) ფილოლოგი, 4) ფსიქოლოგი და 5) სხვა სპეციალისტი. შეფასების ინდიკატორებად გამოყენებულია კრიტერიუმები. აღნიშნული კრიტერიუმების შეფასება ხდება უმეტეს შემთხვევაში **რამდენიმე** ან მხოლოდ **ერთი** რეცენზენტის მიერ (მაგ: კრიტერიუმი 5.5. შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან ფასდება მხოლოდ ‘სხვა სპეციალისტის’ მიერ). ‘სხვა სპეციალისტის’ (სხვა სპეციალისტებად წარმოდგენილი იყვნენ სახალხო დამცველის აპარატის მიერ ნომინირებული ადამიანის უფლებათა ექსპერტები) მიერ შესაფასებელ რამდენიმე კრიტერიუმთან მითითებულია ასევე ფსიქოლოგის ჩართულობა (მაგ: კრიტერიუმი 5.3 - ძალადობისკენ მოწოდების ან შუღლის გაღვივების აკრძალვა, ფასდება ორივე რეცენზენტის მიერ). ზოგიერთ საგნობრივ სამუშაო ჯგუფში კოორდინატორის მითითება იყო, რომ კრიტერიუმის შეფასებაზე დაფუძნებული რეკომენდაციის ელ-სისტემაში **ასახვისთვის** საჭირო იყო სხვა რეცენზენტებთან შეთანხმება, სხვა ჯგუფებში კი რეცენზენტებს აუხსნეს, რომ რეკომენდაციის **არა ასახვა**, არამედ **ფორმულირება** იყო შესათანხმებელი კომისიის სხვა წევრებთან. აღნიშნული გაურკვევლობის გამო, ადამიანის უფლებათა ექსპერტ რეცენზენტების მიერ გაკეთებული ზოგიერთი შეფასება საერთოდ არ აისახა შეფასების სისტემაში, რადგან ფსიქოლოგის მხრიდან არ იყო თანხმობა მათი ასახვის თაობაზე. რეცენზენტების ინფორმაციით, კომისიის წევრი ფსიქოლოგები ხშირად ვერ აფასებდნენ იმ საკითხების მნიშვნელობასა და აქტუალობას, რაც ამ სფეროს ექსპერტების მიერ იყო შეთავაზებული.

გარდა ელექტრონულ პროგრამაში მუშაობის ტრენინგისა, რეცენზენტებს ასევე უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი ან განმარტებითი ლექცია, სადაც აუხსნიან საკუთარი კომპეტენციებს და გადაწყვეტილებების მიღების მკაფიო წესებს. რეცენზირების წესების შესახებ სათანადოდ უნდა

---

<sup>1</sup> ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 16/02/2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანება, 18.02.2019 წლის მდგომარეობით

იყვნენ ასევე ინფორმირებული რეცენზირების ჯგუფის კოორდინატორები, რომელთა მისამართითაც სამუშაო პროცესთან და წესებთან (რეცენზირებასთან დაკავშირებული რეგულაციები) დაკავშირებით დასმულ კითხვებზე რეცენზენტებმა რიგ შემთხვევებში პასუხი ვერ მიიღეს.

იქიდან გამომდინარე, რომ სხვა სფეროს წარმომადგენლებს შესაძლოა არ ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა ამა თუ იმ უფლების სწორი ფორმულირების ან მისი ასახვის აუცილებლობის შესახებ (როგორც ეს პრაქტიკამაც გვიჩვენა), ადამიანის უფლებათა საკითხების ინტეგრირებაზე პასუხისმგებელ რეცენზენტს უნდა შეეძლოს შეთანხმების გარეშე მის კომპეტენციაში შემავალი საკითხის ექსკლუზიური ასახვა.

- 3. პრობლემა:** რეცენზენტების აზრით ავტორთა მიერ კომენტარების ასახვისთვის განკუთვნილი დღეები (12 კალენდარული დღე) არარაციონალურია, რადგანაც კომენტარებმა საკმაო რაოდენობით მოიყარა თავი (ზოგიერთ შემთხვევაში 1 გვერდიან ტექსტთან დაკავშირებით 10 გვერდიანი და მეტი მოცულობის კომენტარი მომზადდა), რაც მხოლოდ ტექნიკურ და მარტივ ცვლილებას არ გულისხმობს, არამედ მოითხოვს ტექსტის მოდიფიკაციას.

რეცენზირების წესის თანახმად საგნობრივი ჯგუფი ხმათა უმრავლესობით განსაზღვრავს გაცემული რეკომენდაციის/მითითების საფუძველზე, განმცხადებლის მიერ, მაკეტის შესაბამისი კორექტირებისთვის საჭირო ვადას და შესაბამისად, ჯგუფებს შეეძლოთ ავტორებისთვის გონივრული ვადა მიეცათ. თუმცა, რადგან რეცენზირების ჯგუფებმა საქმიანობა 2019 წლის აპრილიდან დაიწყეს და მათი სამუშაო სამთვიან პერიოდს მოიცავდა (აპრილი, მაისი, ივნისი), ხოლო სასწავლო წლის დაწყებამდე დანარჩენი პერიოდი გრიფირებისა და სხვა მოსამზადებელი სამუშაოებისთვის არის განკუთვნილი, ჯგუფებს შემჭიდროვებული ვადის მიცემა მოუხდათ ავტორებისთვის, რათა სახელმძღვანელოები ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის (სექტემბერი, 2019) ჩაშვებულიყო სკოლებში. შესაბამისად, აუცილებელია, რომ მომდევნო (მე-8, მე-9, მე-10) კლასებისთვის სახელმძღვანელოთა შერჩევის პროცედურები დაიწყოს არსებულ პრაქტიკასთან შედარებით მინიმუმ ორი თვით ადრე, რაც ავტორებს მისცემს შესაძლებლობას გონივრულ ვადაში გაეცნონ და ასახონ რეცენზენტთა მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები.

რეცენზირების სამუშაოს **ტექნიკურ უზრუნველყოფასთან** დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

- 1. პრობლემა:** რეცენზირების ელექტრონული სისტემა არ იყო გამართული. მაგ: სახელმძღვანელოების მიმართ გაცემული რეკომენდაციები რიგ შემთხვევებში არასრულყოფილად აისახა სისტემაში. ზემოაღნიშნულის გამო, ავტორებს არ მიეცათ შესაძლებლობა, დაეხვეწათ მასალა, რაც მათთვის გრიფის მინიჭების ნაკლებ შანსსაც ნიშნავს. მაგალითად, ავტორებს, რომლებმაც გაასაჩივრეს რეცენზენტების შეფასებები, არ მისვლიათ ადრესატი რეცენზენტების საბოლოო, საპასუხო განმარტება და დასაბუთება, არამედ მიიღეს ისევ პირველად გაგზავნილი შენიშვნები. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც ფილოლოგების მიერ მომზადებული რედაქტირების შესახებ მოცულობითი ტექსტების

მხოლოდ ნახევარი მიუვიდათ ადრესატ ავტორებს. შესაბამისად, რეცენზენტებმა ვერ შეაფასეს სახელმძღვანელოები სრულყოფილად და იძულებულნი გახდნენ შეფასებაში მიეთითებინათ, რომ წარმოდგენილი ვერსია აკმაყოფილებდა კრიტერიუმებს, რადგან ტექნიკური გაუმართაობის გამო ავტორებს არ მისვლიათ (ან ნაწილობრივ მიუვიდათ) შეფასებები.

ელექტრონულ სისტემაში მუშაობა იყო რთული ასევე ტექსტური თვალსაზრისითაც, მაგ. ფანჯარა ვერ იცავდა აბზაცებს, მოჩანდა მხოლოდ მოკლე მონაკვეთი და წინა ან მომდევნო ტექსტში მოცემული ტექსტების კურსორით მოძებნა იყო საჭირო; ამასთან, რეცენზენტებს გარკვეული სამუშაოების შესრულების ვადები განესაზღვრათ მანამ, სანამ სისტემაში არსებული ტექნიკური ხარვეზების გამოსწორება მოხდებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია დაიხვეწოს გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა იმდაგვარად, რომ ავტორებისათვის სრულყოფილად და ადეკვატურად აღქმადი იყოს მათი მაკეტების მიმართ გაკეთებული შეფასებები და რეკომენდაციები. ასევე, სამუშაო პროგრამა ტექნიკურად უნდა დაიხვეწოს, ამ პროგრამაში მუშაობის გამოცდილების მქონე რეცენზენტებთან კონსულტაციის შედეგად;

**2. პრობლემა:** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების კონკურსის მონაწილე მაკეტის, ასევე მასზე დამატებითი რესურსის სახით დართული მასალის **დასკანერებული** PDF-ფაილის სახით წარმოდგენა, უსინათლო/მცირემხედველი რეცენზენტებისთვის შეუძლებელს ხდის მათ წაკითხვას. მაგ: აღნიშნულის გამო პრობლემა შეექმნა რეცენზირების ჯგუფის წევრს, რომლისთვისაც საჭირო გახდა სელექციურად იმ მასალის შერჩევა, რომელიც არ შეიცავდა დასკანერებულ დოკუმენტებს.

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 16/02/2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებაში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და მაკეტის, ასევე მასში შემავალი ნებისმიერი რესურსის წარმოდგენა შესაძლებელი გახდეს მხოლოდ **დასკანერების გარეშე** PDF ფაილის ფორმატში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ წინადადებით:

- რეცენზენტთა შერჩევის კრიტერიუმებს დაემატოს ადამიანის უფლებათა და თანასწორობის საკითხებზე საბაზისო ცოდნის მოთხოვნა ან/და ღირებულებითი საკითხები აისახოს რეცენზენტობის კანდიდატურათა შესარჩევი კონკურსის მოთხოვნებსა თუ ზეპირი ინტერვიუს კითხვარში;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან რეცენზენტების მიერ გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში (ხელშეკრულების ასლების გადაცემა ჩვენს მიერ გამოკითხულ



რეცენზენტებისთვის არ იქნა უზრუნველყოფილი დამსაქმებლის მიერ) მითითებულ იქნას შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობა - სამუშაოს შესრულების ვადები, სამუშაო საათები და შესვენების დრო, ასევე ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;

- რეცენზენტებსა და რეცენზირების ჯგუფების კოორდინატორებს ჩაუტარდეთ ტრენინგი ან განმარტებითი ლექცია, სადაც აუხსნიან საკუთარი კომპეტენციებს და გადაწყვეტილებების მიღების მკაფიო წესებს;
- ადამიანის უფლებათა საკითხების ინტეგრირებაზე პასუხისმგებელ რეცენზენტს მიეცეთ შესაძლებლობა შეთანხმების გარეშე მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხები ექსკლუზიურად ასახონ რეცენზირების ელექტრონულ სისტემაში;
- მომდევნო (მე-8, მე-9, მე-10) კლასებისთვის სახელმძღვანელოთა შერჩევის პროცედურები დაიწყოს არსებულ პრაქტიკასთან შედარებით მინიმუმ ორი თვით ადრე, რაც ავტორებს მისცემს შესაძლებლობას გონივრულ ვადაში გაეცნონ და ასახონ რეცენზენტთა მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები.
- დაიხვეწოს გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა იმდაგვარად, რომ ავტორებისათვის სრულყოფილად და ადეკვატურად აღქმადი იყოს მათი მაკეტების მიმართ გაკეთებული შეფასებები და რეკომენდაციები;
- სამუშაო პროგრამა ტექნიკურად უნდა დაიხვეწოს, ამ პროგრამაში მუშაობის გამოცდილების მქონე რეცენზენტებთან კონსულტაციის შედეგად;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 16/02/2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებაში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და მაკეტის, ასევე მასში შემავალი ნებისმიერი რესურსის წარმოდგენა შესაძლებელი გახდეს მხოლოდ დასკანერების გარეშე PDF ფაილის ფორმატში.

ვიმედოვნებთ, რომ სამომავლოდ რეცენზირების სამუშაო პროცესში ზემოხსენებული საკითხები გათვალისწინებული იქნება, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხისა და ადამიანის უფლებების შესაბამისი სახელმძღვანელოების გრიფირებას. ამასთან გამოვთქვამთ მზადყოფნას, ჩავეერთოთ წინადადებაში მითითებული საკითხების გარშემო გამართულ დიალოგში.

გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი



